საინფორმაციო ბიულეტენი | სექტემბერი

შეხვედრა კაორი იშიკავასთან

1 სექტემბერს საბჭოს თავმჯდომარე, ნინო წილოსანი საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის ახალ წარმომადგენელს, კაორი იშიკავას შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში თავმჯდომარემ წარადგინა საბჭოს განხორციელებული, მიმდინარე და სამომავლო აქტივობების მოკლე მიმოხილვა.

სექტემბერში საბჭომ 2 ოფიციალური განცხადება გაავრცელა

4 და **7 სექტემბერს** საბჭომ ორი ოფიციალური განცხადება გაავრცელა. განცხადებები შეეხებოდა ქალ კანდიდატთა მიმართ წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილ აგრესიისა და დისკრიმინაციის ფაქტებს.

საინფორმაციო კამპანია #გააძლიერერათაგაძლიერდე

საბჭომ სექტემბრის თვეში სოციალურ მედიაში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ ახალი საინფორმაციო კამპანია წამოიწყო.
კამპანიის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ინფორმაცია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობის, საშინაო აუნაზღაურებელი შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში საბჭომ ხელი შეუწყო ცნობიერების ამაღლებას ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის შესახებაც.

შეხვედრა თემატური მოკვლევის მონიტორინგის შესახებ

6 სექტემბერს თემატური მოკვლევის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ მონიტორინგის თაობაზე შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ელჩებმა და საელჩოების წარმომადგენლებმა, საერთაშორისო და დონორმა ორგანიზაციებმა მიიღეს.

შეხვედრა გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე

13 სექტემბერს, საბჭოს ინიცირებით, გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა პარლამენტის აპარატის, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის, საფინანსო დეპარტამენტისა და მხარდამჭერი დონორი ორგანიზაციის, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლებმა მიიღეს.

შეხვედრა გენდერული სახელფასო სხვაობის მეთოდოლოგიის შესახებ

14 სექტემბერს, საბჭოს ინიცირებითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით გენდერული სახელფასო სხვაობის მეთოდოლოგიის შესახებ სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა თანაბარი ანაზღაურების შეფასების და ანგარიშგების მეთოდოლოგიური მოდელები.

საინფორმაციო ბიულეტენი | სექტემბერი

განახლდა გენდერული სახელფასო სხვაობის აღმოფხვრისთვის ნაკისრი ვალდებულებები

17 სექტემბერს, თანაბარი ანაზღაურების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით განხორციელდა, საქართველომ ხელი მოაწერა თანაბარი ანაზღაურების საერთაშორისო კოალიციაში (EPIC) გაწევრიანებას და აიღო ახალი ვალდებულებები, რომლის მიხედვითაც ხელი უნდა შეეწყოს გენდერული სახელფასო სხვაობის აღმოფხვრას.

შეხვედრა ევროკავშირის ატაშესთან

29 სექტემბერს საბჭოს თავმჯდომარე, ნინო წილოსანი ევროკავშირის წარმომადგენლობაში შრომის ბაზრის, მიგრაციისა და გენდერის მიმართულების ატაშეს - პროგრამის მენეჯერს, იურატე იუდსნუკიტეს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ერთმანეთს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, დაგეგმილი აქტივობები და სამომავლო გეგმები გააცნეს. გარდა ამისა, განხილულ იქნა მხარეთა შორის სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები.

ფოტო: შეხვედრა ევროკავშირის ატაშესთან